



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება N18

2022 წლის 28 ივნისი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N13 დადგენილებაში „ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს,

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N13 დადგენილებაში „ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ და დადგენილების პირველი მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობა მოიცავს მარწმუნებელ და საკონსულტაციო საქმიანობას:

8.1 მარწმუნებელი საქმიანობა-არის მტკიცებულების ობიექტური შემოწმება, დამოუკიდებელი შეფასების უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებისთვის მმართველობის, რისკის მართვისა და კონტროლის პროცესებთან დაკავშირებით;

8.2 საკონსულტაციო საქმიანობა-არის კონსულტაცია და მასთან დაკავშირებული საქმიანობები, რომელთა ხასიათი და ფარგლები თანხმდება ობიექტთან, გამოწვეულია დამატებითი ღირებულებებისათვის და დაწესებულების (მერიის) მმართველობის, რისკის მართვის და კონტროლის პროცესების გაუმჯობესებისათვის, შიდა აუდიტორის მიერ მართვის პასუხისმგებლობის აღების გარეშე. საკონსულტაციო საქმიანობად შეიძლება ჩაითვალოს:

- ა) ფასილიტატორის როლის შესრულება, რისკებისა და კონტროლების კოლექტიური განხილვისათვის ჩატარებულ შეხვედრებში;
- ბ) რისკებთან და კონტროლებთან დაკავშირებული შესაბამისი უნარებისა და პრაქტიკების გაზიარება, რაც უზრუნველყოფს გრძელვადიან და დამატებით სარგებელს მმართველობის, რისკებისა და კონტროლის საკითხებთან დაკავშირებული უნარების გაუმჯობესებაში;
- გ) კონკრეტული რჩევის მიცემა მენეჯმენტისათვის, კონკრეტულ რისკთან და კონტროლთან დაკავშირებულ საკითხებზე.“

მუხლი 2.

შევიდეს ცვლილება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N13 დადგენილებაში „ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ და დადგენილების მესამე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 3. სამსახური უფლებამოსილია:

ა) მერიის სისტემაში განხორციელოს შიდა აუდიტორული შემოწმება აუდიტის შემდეგი სახეების გამოყენებით:

- ა.ა) სისტემური აუდიტი;
- ა.ბ) შესაბამისობის აუდიტი;
- ა.გ) ფინანსური აუდიტი;
- ა.დ) ეფექტიანობის აუდიტი;
- ა.ე) IT აუდიტი.

სისტემური აუდიტი- ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება.

შესაბამისობის აუდიტი-დაწესებულების საქმიანობის პოლიტიკასთან, გეგმებთან, პროცედურებთან, კანონებსა და სხვა მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობის შემოწმება და შეფასება.

ეფექტიანობის აუდიტი-შიდა აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული ღონისძიებების, ოპერაციების, პროგრამების, დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობისა და სისტემის, ობიექტური და საიმედო შეფასება, მათი ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის პრინციპებთან შესაბამისობის დადგენისა და გაუმჯობესების პოტენციალის გამოვლენის მიზნით;

ფინანსური აუდიტი- შიდა აუდიტის ობიექტის ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შემოწმება, საქართველოს კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი (IT აუდიტი)- ინფორმაციული ტექნოლოგიების ადეკვატურობისა და სისტემის უსაფრთხოების დაცულობის შემოწმება და შეფასება, სისტემის კონფიდენციალურობის, მთლიანობის და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

ბ) მერიის სისტემიდან შეუზღუდავად მოითხოვოს მისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია, დოკუმენტი და ხელი მიუწვდებოდეს მონაცემთა ბაზებზე, მიუხედავად მათი ფორმისა (მატერიალური და ელექტრონული დოკუმენტები, ინფორმაცია, ელექტრონული პროგრამები და სისტემები, ადმინისტრაციული შენობები, პერსონალი და სხვა), მიიღოს მერიის სისტემის ნებისმიერი თანამშრომლისგან შესაბამისი ინფორმაცია ან განმარტება. აგრეთვე მოითხოვოს დოკუმენტის სახელმწიფო ენაზე წარდგენა, გადაიღოს დოკუმენტის ასლები და სხვა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვებისა (სახელმწიფო საიდუმლოება);

გ) საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს სპეციალისტი ან ექსპერტი;

დ) კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია გამოიყენოს, მხოლოდ კონკრეტული შიდა აუდიტორული შემოწმების ჩატარების მიზნით და არ იქნას გამჟღავნებული სხვა მესამე მხარესთან;

ე) შიდა აუდიტის განხორციელების შედეგად შეადგინოს შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტი, რომელშიც ასახავს შიდა აუდიტის შედეგებს, შიდა აუდიტის განხორციელების პროცესსა და მიგნებებს, მათ ანალიზს და მათ საფუძველზე შემუშავებულ რეკომენდაციებს.

ე.ა) შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტი გონივრული ვადის მითითებით ეგზავნება შიდა აუდიტის ობიექტს, ანგარიშში ასახულ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების და რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმის წარმოდგენის მიზნით. აღნიშნული ვადის გასვლის შემთხვევაში შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტი ჩაითვლება საბოლოოდ, ხოლო მასში ასახული მიგნებები და რეკომენდაციები-შეთანხმებულად;

ე.ბ) თუ შიდა აუდიტის ობიექტი არ ეთანხმება შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტში ასახულ მიგნებებს ან/და რეკომენდაციებს, იგი საპასუხო წერილში მიუთითებს არგუმენტაციას ან/და მოსაზრებას თავისი პოზიციის გასამყარებლად;

ე.გ) შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტთან დაკავშირებით წარდგენილი შიდა აუდიტის ობიექტის მოსაზრება აისახება საბოლოო შიდა აუდიტორულ ანგარიშში;

ვ) საბოლოოდ აყალიბებს შიდა აუდიტორულ ანგარიშს და მას შიდა აუდიტის ობიექტის მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმასთან ერთად უგზავნის დაწესებულების ხელმძღვანელს (მერს);

ზ) თუ შიდა აუდიტის სუბიექტი (სამსახური) და შიდა აუდიტის ობიექტი ვერ თანხმდებიან საბოლოო შიდა აუდიტორულ ანგარიშში ასახულ რეკომენდაციებზე, შიდა აუდიტის სუბიექტი (სამსახური) შეუთანხმებელ რეკომენდაციებს შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად უგზავნის დაწესებულების ხელმძღვანელს (მერს), რომელიც გონივრულ ვადაში იღებს ამ გადაწყვეტილებას;

თ) სამსახურის წარმომადგენელთა მოთხოვნის შემთხვევაში, მერიის სისტემის ნებისმიერი თანამშრომელი ვალდებულია დაუყონებლივ გამოცხადდეს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში მისცეს სათანადო განმარტება ან წარუდგინოს შესაბამისი ინფორმაცია, უზრუნველყოს არსებულ მონაცემთა ბაზებისა და დოკუმენტების ხელმისაწვდომობა და დახმარება გაუწიოს სამსახურის წარმომადგენლებს სხვა ქმედების განხორციელების მიზნით;

ი) სამსახურის საქმიანობას წარმართავს სამსახურის უფროსი, რომლის უფლებამოსილებები და სამსახურებრივი ფუნქციები განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი,“ მერიის დებულებით და სამსახურის უფროსის სამუშაოთა აღწერილობით. უფროსის არყოფნის ან/და უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, მერის ბრძანებით, სამსახურის უფროსის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს სამსახურის ერთ-ერთი საჯარო მოხელე – განყოფილების უფროსი ან/და უფროსი სპეციალისტი.“

მუხლი 3.

შევიდეს ცვლილება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N13 დადგენილებაში „ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ და დადგენილების მეოთხე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სამსახურის უფროსი:

ა) იხილავს შემოსულ კორესპონდენციას და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, ხელს აწერს ან ვიზას ადებს სამსახურში მომზადებულ დოკუმენტებს;

ბ) კოორდინაციას უწევს შიდა აუდიტორთა საქმიანობას და უნაწილებს მათ ფუნქციებს ცოდნისა და კვალიფიკაციის შესაბამისად;

გ) უზრუნველყოფს კვალიფიციური შიდა აუდიტორების შერჩევას და მერს წარუდგენს მათ დასანიშნად;

დ) თანამშრომლობს ჰარმონიზაციის ცენტრთან და მოთხოვნის შემთხვევაში აწვდის მას შესაბამის დოკუმენტაციას და ინფორმაციას;

ე) ითვალისწინებს ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში გაცემულ შესაბამის რეკომენდაციებსა და მითითებებს;

ჰარმონიზაციის ცენტრი-არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც ხელს უწყობს და უზრუნველყოფს დაწესებულებებში სახელმწიფო შიდა კონტროლის სისტემის დანერგვას, განვითარებასა და ფუნქციურ სრულყოფას და ამ საკითხების კოორდინაციას.

ვ) ახორციელებს მონიტორინგს შიდა აუდიტის ობიექტისთვის მიცემული რეკომენდაციების შესრულებაზე;

ზ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს;

თ) ადგენს რისკზე დაფუძნებულ წლიურ და სტრატეგიულ გეგმას, რომელიც განსაზღვრავს დაწესებულების (მერიის) მიზნების შესაბამისად, შიდა აუდიტის საქმიანობის პრიორიტეტებს;

თ.ა) შიდა აუდიტის სტრატეგიულ გეგმას შეიმუშავებს შიდა აუდიტის (სუბიექტის) სამსახურის უფროსი და ამტკიცებს (დაწესებულების ხელმძღვანელი) მერი. შიდა აუდიტის სტრატეგიული გეგმა გამომდინარეობს (დაწესებულების) მერიის გრძელვადიანი მიზნებიდან, მოიცავს 3-წლიან პერიოდს და განსაზღვრავს შიდა აუდიტის სფეროში სტრატეგიული განვითარების მიმართულებებს;

თ.ბ) შიდა აუდიტის წლიურ გეგმას ადგენს შიდა აუდიტის (სუბიექტის) უფროსი და ამტკიცებს (დაწესებულების ხელმძღვანელი) მერი. შიდა აუდიტის წლიური გეგმა ეფუძნება შიდა აუდიტის სტრატეგიულ გეგმას და შეიცავს კონკრეტულ შიდა აუდიტორულ შემოწმებებს;

თ.გ) შიდა აუდიტის დაგეგმვა ხორციელდება რისკის შეფასების საფუძველზე და მისი შედეგები აისახება შიდა აუდიტის სტრატეგიულ გეგმაში, რის მიხედვითაც მუშავდება შიდა აუდიტის წლიური გეგმა;

თ.დ) შიდა აუდიტის წლიურ გეგმაში, რეკომენდაციების შესრულების ადეკვატურობის, ეფექტურობისა და დროულობის შეფასებისთვის, გაიწერება გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი;

თ.ე) შიდა აუდიტის (სუბიექტის) სამსახურის უფროსის წინადადებით შიდა აუდიტის სტრატეგიულ და წლიურ გეგმებში ნებისმიერი ცვლილება ხორციელდება რისკის შეფასების საფუძველზე;

თ.ვ) შიდა აუდიტის სტრატეგიული და წლიური გეგმა მტკიცდება დაგეგმილი პერიოდის დაწყებამდე;

თ.ზ) შიდა აუდიტის წლიურ და სტრატეგიულ გეგმებს ან მათში განსახორციელებელ ცვლილებებს ამტკიცებს (დაწესებულების ხელმძღვანელი) მერი და ეგზავნება ჰარმონიზაციის ცენტრს;

ი) მხედველობაში იღებს (დაწესებულების) მერიის რისკის მართვის კონცეპტუალურ საფუძვლებს, მათ შორის, ხელმძღვანელთა მიერ სხვადასხვა საქმიანობასა და დაწესებულების სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან დაკავშირებულ რისკის დონეებს, რომელიც დაწესებულებისთვის მისაღებია. თუ ეს კონცეპტუალური საფუძვლები არ არსებობს, შიდა აუდიტის (სუბიექტის) სამსახურის უფროსი დაწესებულების ხელმძღვანელთან (მერთან) კონსულტაციის შემდეგ იყენებს რისკის შესახებ საკუთარ მსჯელობას;

კ) შემოწმების მიზნების მისაღწევად შეიმუშავებს და ამტკიცებს შიდა აუდიტორული შემოწმების ინდივიდუალურ გეგმას.

კ.ა) ინდივიდუალური გეგმა მოიცავს შემოწმების დროს ინფორმაციის იდენტიფიკაციის, შეგროვების, ანალიზის, შეფასებისა და დოკუმენტირების პროცედურებს. ინდივიდუალური გეგმა მტკიცდება მის განხორციელებამდე, ასევე, მყისიერად მტკიცდება მასში ნებისმიერი ცვლილება;

კ.ბ) შესაძლებელია შიდა აუდიტორული შემოწმების სახიდან გამომდინარე, ინდივიდუალური გეგმა ფორმითა და შინაარსით განსხვავებული იყოს ერთმანეთისაგან;

ლ) ახორციელებს მონიტორინგს შიდა აუდიტის წლიური გეგმის შესრულებაზე და შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის გამოყენებაზე;

მ) შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამას, რაც მოიცავს შიდა აუდიტის საქმიანობის ყველა ასპექტს;

მ.ა) ხარისხის გაუმჯობესების პროგრამის შემუშავება ხდება შიდა აუდიტის არსსა და შიდა აუდიტის სტანდარტებთან შიდა აუდიტის (სუბიექტის) სამსახურის საქმიანობის შესაბამისობის დასადგენად და ასევე შიდა აუდიტორების მიერ შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსის გამოყენების შესაფასებლად. პროგრამა ასევე აფასებს შიდა აუდიტის (სუბიექტის) სამსახურის საქმიანობის ეფექტურობასა და პროდუქტიულობას, ახორციელებს გაუმჯობესების შესაძლებლობების დადგენას;

მ.ბ) ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამა მოიცავს შიდა და გარე შეფასებებს. თავის მხრივ შიდა შეფასებები მოიცავს: შიდა აუდიტის (სუბიექტის) სამსახურის საქმიანობის შედეგების მიმდინარე მონიტორინგსა და პერიოდულ მიმოხილვებს, განხორციელებულს თვითშეფასების მეშვეობით, ან (დაწესებულებაში) მერიაში არსებული სხვა პირების მეშვეობით, რომელთაც გააჩნიათ შიდა აუდიტის პრაქტიკის საკმარისი ცოდნა;

მ.გ) ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამის შედეგების ფორმა, შინაარსი და სიხშირე დგინდება (დაწესებულების ხელმძღვანელთან) მერთან გამართულ დისკუსიების შედეგად წინამდებარე დებულებაში მოცემული შიდა აუდიტის (სუბიექტის) სამსახურის საქმიანობისა და შიდა აუდიტის (სუბიექტის) სამსახურის უფროსის პასუხისმგებლობის გათვალისწინებით. შიდა აუდიტის არსთან, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსსა და შიდა აუდიტის სტანდარტებთან შესაბამისობის წარმოჩენის მიზნით, გარე და პერიოდული შიდა შეფასების შედეგების მიწოდება ხდება ამ შეფასების დასრულებისთანავე, ხოლო მიმდინარე მონიტორინგის შედეგები მიწოდება სულ მცირე ყოველწლიურად. შედეგები მოიცავს მიმოხილველის ან მიმოხილველთა ჯგუფის შეფასებებს შესაბამისობის ხარისხთან დაკავშირებით;

ნ) მერს წარუდგენს ინფორმაციას ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამის შედეგების შესახებ;

ო) აყალიბებს შიდა აუდიტის (სუბიექტის) სამსახურის სახელმძღვანელო პოლიტიკას და პროცედურებს, რომლის ფორმა და შინაარსი დამოკიდებულია შიდა აუდიტის (სუბიექტის) სამსახურის სიდიდეზე, სტრუქტურასა და სამუშაოს სირთულეზე;

პ) შემოწმებისა და შეფასების გამწევ სხვა შიდა და გარე მხარეებთან ერთად ახორციელებს ინფორმაციის ურთიერთგაცვლას და ასევე საქმიანობათა კოორდინაციას, რომლითაც უზრუნველყოფს შიდა აუდიტის ობიექტის სათანადო ჩართულობის ხარისხსა და სამუშაოთა გაორმაგების მინიმინიზაციას;

- ჟ) მერთან (დაწესებულების ხელმძღვანელთან) შეთანხმებული სიხშირით წარუდგენს მას ანგარიშს, გეგმასთან მიმართებაში შიდა აუდიტის (სუბიექტის) სამსახურის საქმიანობის მიზნის, უფლებამოსილებისა და ამოცანების შედეგების შესახებ;
- ჟ.ა) ანგარიშმა უნდა მოიცვას მნიშვნელოვან რისკებსა და შიდა კონტროლთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის, თაღლითობის რისკები, მმართველობითი საკითხები და სხვა, რაც მოთხოვნილია (დაწესებულების ხელმძღვანელის) მერის მიერ;
- ჟ.ბ) ანგარიშის წარდგენის სიხშირე და შინაარსი განისაზღვრება (დაწესებულების ხელმძღვანელთან) მერთან განხილვის დროს და დამოკიდებულია (დაწესებულების ხელმძღვანელისადმი) მერისადმი მიწოდებული ინფორმაციის მნიშვნელოვნობასა და მათი მხრიდან განსახორციელებელი ქმედებების სისწრაფეზე;
- რ) აფასებს და გასწევს სათანადო რეკომენდაციებს მმართველობითი პროცესის გასაუმჯობესებლად, რათა მიღწეულ იქნეს შემდეგი მიზნები:
- რ.ა) მერიაში (დაწესებულებაში) სათანადო ეთიკისა და ღირებულებების გავრცელების ხელშეწყობა;
- რ.ბ) მერიის (დაწესებულების) საქმიანობის შედეგების მართვის ეფექტურობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა;
- რ.გ) მერიის (დაწესებულების) შესაბამის თანამშრომლებზე რისკისა და კონტროლის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- რ.დ) ჰარმონიზაციის ცენტრს, გარე და შიდა აუდიტორებსა და ხელმძღვანელობას შორის ინფორმაციის გაცვლა და მათი საქმიანობის კოორდინაცია;
- ს) შიდა აუდიტორული შემოწმების დაგეგმვისას შიდა აუდიტის (სუბიექტის) სამსახურის უფროსმა უნდა განიხილოს:
- ს.ა) შიდა აუდიტის ობიექტის მიზნები და მისი საქმიანობის შედეგის კონტროლის საშუალებები;
- ს.ბ) შიდა აუდიტის ობიექტის მიზნებთან, რესურსებსა და ოპერაციებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები, ასევე რისკის შესაძლო ზეგავლენის მისაღებ დონეზე შენარჩუნების საშუალებები;
- ს.გ) შიდა აუდიტის ობიექტის რისკის მართვისა და კონტროლის პროცესების ადეკვატურობა და ეფექტიანობა შესაბამისი კონტროლის მოდელთან შედარებით;
- ს.დ) შიდა აუდიტის ობიექტის საქმიანობის მართვისა და კონტროლის პროცესების მნიშვნელოვანი გაუმჯობესების შესაძლებლობები.
- ტ) შიდა აუდიტორული შემოწმების მიზნების მისაღწევად განსაზღვრავს შესაბამის და საკმარის რესურსებს თითოეული შემოწმების სახისა და სირთულის, დროითი შეზღუდვებისა და არსებული რესურსების შეფასების საფუძველზე;
- უ) აკონტროლებს შემოწმების მონაცემებზე წვდომას და ამგვარი მონაცემების გარეშე პირთათვის გადასაცემად მოიპოვებს (დაწესებულების ხელმძღვანელის) მერის თანხმობას;
- ფ) შეიმუშავებს შემოწმების შედეგად მონაცემთა შენახვის მოთხოვნებს, მიუხედავად თითოეული მონაცემის შენახვის საშუალებისა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს შესაბამის მარეგულირებელ აქტებსა და სხვა მოთხოვნებს;
- ქ) შეიმუშავებს შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად მოპოვებულ მონაცემთა შენახვის მართვისა და ასევე მათი შიდა და გარეშე პირებზე გავრცელების პოლიტიკას, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს შესაბამის მარეგულირებელ აქტებსა და სხვა მოთხოვნებს;
- ღ) ახორციელებს სათანადო ზედამხედველობას შიდა აუდიტორული შემოწმების გაწევის პროცესზე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მიზნების მიღწევა, სამუშაოს ხარისხი და თანაშრომელთა განვითარება;
- ღ.ა) საჭირო ზედამხედველობის ხარისხი დამოკიდებულ იქნება შიდა აუდიტორების პროფესიონალურ დონეზე, გამოცდილებასა და შემოწმების სირთულეზე. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსს აქვს საერთო პასუხისმგებლობა შემოწმების ზედამხედველობის გასაწევად, ამ შემოწმების შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ თუ შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის გაწევის მიუხედავად;
- ყ) უზრუნველყოფს შემოწმების შედეგების მიწოდებას შესაბამის მხარეებზე. შიდა აუდიტის (სუბიექტის) სამსახურის უფროსი პასუხისმგებელია საბოლოო შედეგების იმ მხარეებისათვის მიწოდებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ შედეგების სათანადოდ განხილვას და თავიანთი მოსაზრებების წარმოდგენას შედეგებთან დაკავშირებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

შ) შედეგების დაწესებულების გარეთ გავრცელებამდე შიდა აუდიტის (სუბიექტის) სამსახურის უფროსმა უნდა:

შ.ა) შეაფასოს (დაწესებულებისათვის) მერიისთვის შესაძლო მოსალოდნელი რისკი;

შ.ბ) განახორციელოს კონსულტაცია (დაწესებულების ხელმძღვანელთან) მერთან;

შ.გ) მოახდინოს შედეგების გავრცელებაზე კონტროლი მათ გამოყენებაზე შეზღუდვის დაწესების გზით.

ჩ) შემოწმების შედეგების მიხედვით და შიდა აუდიტის ობიექტის მიერ შემუშავებული გაცემული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმაზე დაყრდნობით შეიმუშავებს გასატარებელ ღონისძიებათა მონიტორინგის სისტემას;

ც) აყალიბებს რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესს, რათა დარწმუნდეს დაწესებულების ხელმძღვანელობის მიერ გასატარებელი ღონისძიებების ეფექტურ შესრულებაში;

ძ) უზრუნველყოფს შიდა აუდიტორული შემოწმების ანგარიშში ასახული შედეგების მონიტორინგს (დაწესებულების ხელმძღვანელთან) მერთან შეთანხმების საფუძველზე;

წ) პასუხისმგებელია რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესის დაგეგმვაზე. მონიტორინგის დაგეგმვა და მისი განხორციელების გზები დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

- შიდა აუდიტორული შემოწმების პროცესის მნიშვნელობა და გამოვლენილი სისუსტეები;
- ცვლილებების განხორციელების პერიოდი;
- რეკომენდაციების შესასრულებლად საჭირო ქმედებების და დანახარჯების მოცულობა;
- ქმედებები დაკავშირებული რამდენიმე სტრუქტურული ერთეულის საქმიანობასთან;
- დამატებითი ზომების განხორციელების წარუმატებლობის შემთხვევაში პრობლემების გაჩენის რისკი;

წ.ა) მონიტორინგის სწორად დაგეგმვისათვის, ხელმძღვანელობს შიდა აუდიტორულ ანგარიშზე დაფუძნებული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმით, სადაც მითითებულია რეკომენდაციის განხორციელების ვადები;

წ.ბ) რეკომენდაციების შესრულების ვადის გასვლამდე (სასურველია ერთი კვირით ადრე), თუ მანამდე არ იქნა მიღებული არანაირი ინფორმაცია პროგრესის შესახებ, შიდა აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობას უგზავნის წერილს და აცნობებს, რომ ახლოვდება რეკომენდაციის შესრულების დრო;

წ.გ) თუ შიდა აუდიტის ობიექტის საპასუხო წერილში მითითებულ იქნება რეკომენდაციების არ შესრულების შესახებ, ან შიდა აუდიტის (სუბიექტის) სამსახურის უფროსი ჩათვლის, რომ მიღებული პასუხი არ არის სანდო და საკმარისი, ის უგზავნის დამატებით წერილს და შეახსენებს აუდიტის ობიექტს, რომ მიზეზების მიუხედავად რეკომენდაციების შესრულება აუცილებელია (ან მოსთხოვს დამატებითი ინფორმაციას) შიდა აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული ქმედებების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში შეთანხმებული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა დაექვემდებარება დამატებით შიდა აუდიტორულ შემოწმებას;

წ.დ) როდესაც შიდა აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელი არ ითვალისწინებს შიდა აუდიტის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს და არ ცდილობს ხარვეზების აღმოფხვრას, ასეთ შემთხვევაში შიდა აუდიტის (სუბიექტის) სამსახურის უფროსი ატყობინებს აღნიშნულის შესახებ (დაწესებულების ხელმძღვანელს) მერს;

წ.ე) პროგრესის არ არსებობის და მაღალი რისკების აღმოჩენის შემთხვევაში, შიდა აუდიტის (სუბიექტის) სამსახურის უფროსი წერილობით ატყობინებს (დაწესებულების ხელმძღვანელს) რეკომენდაციების შეუსრულებლობის მიზეზების შესახებ და განუმარტავს აღნიშნული რისკებისა და მოსალოდნელი შედეგების დაწესებულებაზე ზეგავლენის ხარისხს;

წ.ვ) თუ მონიტორინგის განხორციელების ფაზაში დადგინდება, რომ შიდა აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობას არ მიუღია ზომები სისუსტეების გამოსასწორებლად და რეკომენდაციების შესასრულებლად, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია შევა წლიურ ანგარიშში;

ხ) ამზადებს შიდა აუდიტის წლიურ ანგარიშს, რომელშიც აისახება:

ხ.ა) ინფორმაცია განხორციელებული შიდა აუდიტორული შემოწმებების შესახებ;

ხ.ბ) ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები დაწესებულებაში არსებული ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შესახებ;

ხ.გ) შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ შიდა აუდიტის წლიური გეგმის შეუსრულებლობის მიზეზები (მათი არსებობის შემთხვევაში);

ბ.დ) შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად შიდა აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული შესაბამისი ქმედებები და ინფორმაცია შეუსრულებელი რეკომენდაციების შესახებ;

ბ.ე) ინფორმაცია შიდა აუდიტის მიმდინარეობისას შიდა აუდიტორის საქმიანობის ნებისმიერი შეზღუდვის თაობაზე;

ბ.ვ) წინადადებები შიდა აუდიტის განვითარების შესახებ.

ჯ) მერს წარუდგენს წინადადებებს სამსახურის საჯარო მოსამსახურეების წახალისების და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ჯ.ა) შუამდგომლობს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფაზე, რაც აუცილებელია სამსახურის წინაშე მდგარი ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად;

3) ასრულებს მერის ცალკეულ მითითებებსა და დავალებებს;

3.ა) ახორციელებს ამ დებულებითა და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.“

მუხლი 4.

შევიდეს ცვლილება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N13 დადგენილებაში „ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ და დადგენილების მეხუთე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. შიდა აუდიტორთა ვალდებულებები:

ა) შიდა აუდიტორებმა უნდა დაიცვან შემდეგი პრინციპები:

ა.ა) პატიოსნება-რაც წარმოშობს ნდობას და ამდენად წარმოადგენს შიდა აუდიტორთა განსჯისადმი ნდობის საფუძველს;

ა.ბ) ობიექტურობა-რაც გულისხმობს იმას, რომ შიდა აუდიტორული შემოწმებისას ინფორმაციის შეგროვების, შეფასების და გავრცელების დროს შიდა აუდიტორები ამჟღავნებენ მაღალი დონის პროფესიონალურ ობიექტურობას. მოსაზრების ჩამოყალიბებისას შიდა აუდიტორები ახდენენ ყველა მნიშვნელოვანი გარემოების გაწონასწორებულ შეფასებას და არ ექცევიან საკუთარი ან სხვა პირთა ინტერესების გავლენის ქვეშ;

ა.გ) კონფიდენციალურობა- რაც გულისხმობს, რომ შიდა აუდიტორები პატივს სცემენ მიღებულ ინფორმაციას და საკუთარების პრინციპს და არ ამჟღავნებენ მას შესაბამის უფლებამოსილების გარეშე, იმ გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როცა ინფორმაციის გამჟღავნება ნაკარნახევია სამართლებრივი ან პროფესიული მოვალეობებით;

ა.დ) კომპეტენტურობა-რაც გულისხმობს იმას, რომ შიდა აუდიტორები იყენებენ იმ ცოდნას, უნარებსა და გამოცდილებას, რომლებიც აუცილებელია შიდა აუდიტორული საქმიანობისათვის;

ბ) შიდა აუდიტორები უნდა იყვნენ დამოუკიდებელი და ობიექტურად ასრულებდნენ თავიანთ საქმიანობას;

გ) შიდა აუდიტორებს უნდა ჰქონდეთ განუხრელი პოზიციები და თავი აარიდონ ინტერესთა კონფლიქტს;

დ) შიდა აუდიტორებმა საქმიანობა უნდა განახორციელონ კვალიფიციურად და სათანადო პროფესიონალურ დონეზე;

ე) შიდა აუდიტორებს უნდა ჰქონდეთ ცოდნა, უნარ-ჩვევები და სხვა საჭირო შესაძლებლობები ინდივიდუალურ ვალდებულებათა შესასრულებლად. შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის განსახორციელებლად შიდა აუდიტორები კოლექტიურად უნდა ფლობდნენ ან მოიპოვებდნენ ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და სხვა შესაძლებლობებს;

ვ) შიდა აუდიტორებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი ცოდნა იმისთვის, რომ შეაფასონ თაღლითობის რისკი და დაწესებულების მიერ მისი მართვის ღონისძიებები, მაგრამ მათ არ მოეთხოვებათ ჰქონდეთ იმ სახის პროფესიული ცოდნა, რომლის უმთავრესი ამოცანაა თაღლითობის გამოვლენა და გამომძიება;

ზ) შიდა აუდიტორებს უნდა ჰქონდეთ საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული უმთავრესი რისკების, კონტროლის მექანიზმებისა და ტექნოლოგიაზე დაფუძნებული აუდიტის მეთოდების საკმარისი ცოდნა იმისთვის, რომ შეასრულონ დაკისრებული ფუნქცია. თუმცა, ყველა

აუდიტორს არ მოეთხოვება, რომ ჰქონდეს იმ შიდა აუდიტორის ექსპერტული ცოდნა, რომლის უმთავრესი პასუხისმგებლობაა საინფორმაციო ტექნოლოგიების აუდიტი;

თ) შიდა აუდიტორებმა უნდა გამოიჩინონ პროფესიონალური დამოკიდებულება და უნარ-ჩვევები, ისე როგორც მოეთხოვება გონივრულ, წინდახედულ, კომპეტენტურ შიდა აუდიტორს. სამუშაოსადმი პროფესიონალური დამოკიდებულება არ გულისხმობს უშეცდომობას;

ი) შიდა აუდიტორებმა უნდა გამოიჩინონ საქმისადმი სათანადო პროფესიონალური დამოკიდებულება, შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით:

- სამუშაოს მოცულობა, რომელიც საჭიროა საქმიანობის მისაღწევად;
- საკითხების შედარებითი სირთულე, არსებობა და მნიშვნელობა;
- მმართველობითის, რისკის მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობა და ეფექტურობა;
- მნიშვნელოვანი შეცდომების, თაღლითობის, ან შეუსაბამობის ალბათობა;
- გაწეული ხარჯი პოტენციურ სარგებელთან მიმართებაში;

ი.ა) პროფესიონალური დამოკიდებულების გამოვლენის დროს შიდა აუდიტორებმა უნდა განიხილონ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული აუდიტისა და მონაცემთა ანალიზის სხვა მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა;

კ) შიდა აუდიტორებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ დაწესებულების მნიშვნელოვან რისკებზე, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს დაწესებულების მიზნებზე, ამოცანებზე, ოპერაციებსა და რესურსებზე, თუმცა მათ მიერ განხორციელებული პროფესიონალური ქმედებები არ იძლევა ყველა მნიშვნელოვანი რისკის გამოვლენის გარანტიას;

ლ) შიდა აუდიტორებმა უნდა გააუმჯობესონ თავიანთი ცოდნა, უნარები და სხვა შესაძლებლობები უწყვეტი პროფესიონალური განვითარების გზით;

მ) შიდა აუდიტორებმა შემოწმებიდან მიღებული რისკების თაობაზე ცოდნა უნდა გამოიყენონ დაწესებულების რისკის მართვის პროცესების შეფასებაში;

ნ) შიდა აუდიტორებმა უნდა განახორციელონ შიდა აუდიტის ობიექტის შესაბამისი რისკების წინასწარი შეფასება. შემოწმების მიზნებში უნდა აისახოს ამ შეფასების შედეგები. შიდა აუდიტორული შემოწმების მიზნების შემუშავების დროს, შიდა აუდიტორებმა უნდა გაითვალისწინონ მნიშვნელოვანი შეცდომების, თაღლითობის, შეუსაბამობისა და სხვა რისკების ალბათობა;

ო) შიდა აუდიტორული შემოწმების მიზნები უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულებების ღირებულებებს, სტრატეგიებსა და ამოცანებს;

ო.ა) შიდა აუდიტორული შემოწმების განხორციელების დროს შიდა აუდიტორები უნდა დარწმუნდნენ, რომ შემოწმების ფარგლები საკმარისია შეთანხმებული მიზნების მისაღწევად. თუ შიდა აუდიტორებს წარმოეშვებათ ეჭვი შემოწმების ფარგლებთან მიმართებაში, ეს ფაქტი განხილულ უნდა იქნეს (დაწესებულების ხელმძღვანელთან) მერთან, რათა გადაწყდეს გაგრძელდეს თუ არა შემოწმება ამ სახით;

ო.ბ) შიდა აუდიტორული შემოწმების გაწევის დროს, შიდა აუდიტორებმა, შემოწმების მიზნების შესაბამისად, ყურადღება უნდა მიაქციონ კონტროლთან დაკავშირებულ საკითხებს;

ო.გ) შიდა აუდიტორებმა უნდა განახორციელონ საკმარისი, საიმედო, შესაბამისი და სასარგებლო ინფორმაციის იდენტიფიკაცია, შეგროვება, ანალიზი, შეფასება და დოკუმენტირება, შემოწმების მიზნების მისაღწევად;

ო.დ) შიდა აუდიტორული შემოწმების ფარგლებმა უნდა მოიცვას შესაბამისი სისტემები, მონაცემები, პერსონალი და აქტივები, მათ შორის შესაძლო მხარის სარგებლობაში არსებული დაწესებულების ნებისმიერი აქტივის ჩათვლით;

პ) საკმარისი ინფორმაცია ეფუძნება ფაქტებს, არის ადეკვატური და იმდენად დამაჯერებელი, რომ საღად მოაზროვნე და ინფორმირებული ნებისმიერი პირი მივა იგივე დასკვნამდე, როგორზეც მივიდოდა შიდა აუდიტორი. საიმედო ინფორმაცია სათანადო მომსახურების ტექნიკის გამოყენების შედეგად ყველაზე მეტად ხელმისაწვდომი ინფორმაციაა. შესაბამისი ინფორმაცია პასუხობს შემოწმების შედეგად არსებულ დაკვირვებებსა და რეკომენდაციებს, შეესაბამება შემოწმების მიზნებს. სასარგებლო ინფორმაცია ეხმარება დაწესებულებას მიზნების მიღწევაში;

ჟ) შიდა აუდიტორებმა შიდა აუდიტორული ანგარიშები და შემოწმების შედეგები უნდა დააფუძნონ სათანადო ანალიზსა და შეფასებებს;

- რ) შიდა აუდიტორებმა, შიდა აუდიტორული ანგარიშებისა და შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგების დასასაბუთებლად უნდა განახორციელონ შესაბამისი ინფორმაციის დოკუმენტირება;
- ს) შიდა აუდიტორებმა უნდა განახორციელონ შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგების შესახებ ინფორმირება. ინფორმაციამ უნდა მოიცვას შიდა აუდიტორული შემოწმების მიზნები, ფარგლები და ასევე შეფასებები, რეკომენდაციები და სამოქმედო გეგმები;
- ს.ა) მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი, ობიექტური, გასაგები, ლაკონური, კონსტრუქციული, სრული და დროული;
- ტ) დაიცვან წინამდებარე დებულება, შიდა აუდიტის სტანდარტები, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსი, შიდა აუდიტის მეთოდოლოგია და შიდა აუდიტის მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტები;
- უ) შიდა აუდიტის განხორციელებამდე შიდა აუდიტის ობიექტს წარუდგინონ აუდიტორული შემოწმების ინდივიდუალური გეგმა;
- ფ) შიდა აუდიტორული შემოწმების დასრულების შემდეგ, შიდა აუდიტის ობიექტს გაუგზავნონ რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა და კმაყოფილების კითხვარი;
- ქ) უზრუნველყოს შიდა აუდიტის ობიექტის პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და არ გაამჟღავნოს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა თავისი საქმიანობის განხორციელებისას ან მასთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი გამომდინარეობს შიდა აუდიტორული შემოწმების მიზნიდან ან/და გათვალისწინებულია შესაბამისი კანონმდებლობით;
- ღ) დაწესებულების ხელმძღვანელის თანხმობის გარეშე არ გახადოს საჯარო შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგები, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- ყ) შეასრულოს სამსახურის უფროსის სხვა დავალებები, რომელიც გამომდინარეობს სამსახურის ფუნქციებიდან და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას;
4. შიდა აუდიტორის უფლებები:
- ა) შიდა აუდიტორი უფლებამოსილია შიდა აუდიტორული შემოწმების განხორციელების პროცესში მიიღოს მისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია, დოკუმენტი და ხელი მიუწვდებოდეს მონაცემთა ბაზებზე, მიუხედავად მათი ფორმისა. შიდა აუდიტორს ასვე უფლება აქვს, შიდა აუდიტის ობიექტს მოსთხოვოს დოკუმენტის სახელმწიფო ენაზე წარდგენა, გადაიღოს დოკუმენტის ასლები და სხვა გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვებისა;
- ბ) შიდა აუდიტორს არ აქვს უფლება დაწესებულებაში შეასრულოს სხვა ფუნქციები, გარდა შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ საქართველოს კანონით და მისგან გამომდინარე სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციებისა;
- გ) შიდა აუდიტორი არ მონაწილეობს შიდა აუდიტორულ შემოწმებაში, თუ გამოვლინდა ინტერესთა კონფლიქტის ერთ-ერთი შემდეგი შემთხვევა:
- გ.ა) შიდა აუდიტორი შესამოწმებელ პერიოდში მუშაობდა შიდა აუდიტის ობიექტში;
- გ.ბ) შიდა აუდიტორის პირველი და მეორე რიგის მემკვიდრეებს ბოლო ერთი წლის განმავლობაში უკავიათ ან შესამოწმებელ პერიოდში ეკავათ ხელმძღვანელი თანამდებობები შიდა აუდიტის ობიექტში;
- გ.გ) ინტერესთა კონფლიქტის სხვა შემთხვევა, რომელსაც აფასებს შიდა აუდიტის (სუბიექტის) სამსახურის უფროსი.“

მუხლი 5.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



დ. მჭედლიშვილი